საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia
LEPL Environmental Information and Education Centre

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6 (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge
0159, #6 M. Gelovani str., Tbilisi, Georgia (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge

N 01/1/2211
11/08/2023

2211-01/1-2-202308111250

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ დამატებით წარდგენილ იქნა განცხადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში პლასტმასის ნარჩენების აღდგენის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კერძოდ, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დამატებით დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა უზრუნველყოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2023 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 5 ფაილი

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი